



**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპა თვით 2 მან., თითო ნამერი—15 კან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა კიასხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სპა-თის ქუჩაზე, № 35.

ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция. «КВАЛИ».

**შანაახსი:** კადეკ ერთ ჟურ., დ. კოლხიდეღისა.—დეპუტა.—სხვა და სხვა ამბები.—კოჩქისხანდეციება.—რუსეთის ცხოვრება.—ნაპერწკლები, ნაპერწკაღისა.—აუცხან, მთ. ჩეს. თარ. თლ. ბაქრძისა.—სანდიკატ. მნიშვნელობის შესახებ.—ამ. კაკე. რეინის საუკუნადებთ.—თრთადე სიტყვა წაწლობის შესახებ, აბუკინისა.—ქართული თეატრი.—წერ. რედ. მიმართ.—განცხადებანი.

**კიდევ ერთ ჟურ.\*)**

ბურჟუაზიის პატრიოტობა მოკლებულაა ყოველგვარ იდეალურ მისწრაფებას. მისი „საყვარულ-სიბრალოლი“ ერის სუსტ ნაწილისადმი არ არის ნამდვილი საყვარული და არც ნამდვილი სიბრალოლი, — არა; უნაგარო სიყვარული და ნამდვილი სიბრალოლი ამ ჯურის ვაქტორების ბუნებას ეწინააღმდეგება; მათ არ შეუძლიათ უნაგაროთ შეკვარან სომხობა-ხალხი, რადგან მათი უპირველესი მოთხოვნაა რაც შეიძლება მეტი სიმდიდრის შექმნა და არა მისი გაფანტვა გულჩვილობით. რასაკვირველია, მოიძებნება ბურჟუაზიის ისტორიაში თითო-ორი პირი, რომლებმაც მთელი თავის ქონება ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დახარჯა ისე, როგორც მრავალ მონასტერსა და სკოლას და ოჯახი ბატონის გაჭირვებიდან დასახსნელათ. მაგრამ არც პარკელი და არც მეორე ფაქტი არ ამტკიცებს იმას, რომ სომხის ბურჟუაზია მზათა თავის ინტერესები ამავე რგოლს სომხ-ხალხს ან მონებმა სამუდამოთ დათმეს თავისი ინტერესები. ისტორია ნათლათ გვიჩვენებს სულ სხვას.

თანამედროვე ქველ-მოქმედება, რომლის შესახებ ენა-წყლიანი მწერლები ბევრი გრძობით აღსავსე სტატეებს სწერენ, არაა სიყვარულ-სიბრალოლია ნაყოფი. მაგრამ ქველ-მოქმედება მრავალ-გვარია. უფრო ყურადღების ღირსი საზოგადოებრივი ქველ-მოქმედებაა. ამ უკანასკნელს თუ ისტორიულათ გავითვალისწინებთ, უსათუოთ დავრწმუნდებით, რომ მას საფუძვლათ ყოველთვის პოლიტიკური მოსახრება უძევს. მაგ.: თუ რომში ხალხს პურს ურიგებდენ, ეს იმიტომ რომ ხალხი არ გამწარებულიყო შიმშილისაგან და არ ანჯან-ყებულიყო... აქ სიბრალოლი არაფერ შუაშია.

მაგრამ რა საჭიროა ძველ დროებიდან მაგალითების მოყვანა. პარიჟში ყოველ საღამოს ქალაქის საბჭოების შენობათა კარებთან დაინახავთ აუარებელ ხალხს ჩამწკრივებულს (ეს ხალხი რიცხვით ერთობ ბევრია ცოცხლებში). ამ რაზმს

შეადგენენ ბავშვები, მოხუცნი ორივე სქესისა, დედები, რომლებსაც ძონძში გახვეული ძუძუს მწოვარე ბავშვები გულში ჩაუკრავთ; აქ შეხვდებით მრავალ უსაქმოთ დარჩენილ მუშენს... რა უნდათ, რისთვის მოუყრია თავი ამდენ ხალხს ამ შენობის წინ? რისთვის არიან ასე დაღვრემილნი? რას უცდიან ამ სიტუაციაში ეს ადამიანები ძონძებში? ელიან მოწყვლევას, ბილეთს, რომ თავ-შესაფარში ღამე გაატარონ. მაგრამ ყველას ხვდება კი ბილეთი? ვისაც არ ელირსება ბილეთი—ის სად ატარებს ღამეს და—თუ ეს უბედური ძუძუს მწოვარი ბავშვს დედაა?..

ამას ქვია საზოგადოებრივი ქველ-მოქმედება. ქალაქი აძლევს თავ-შესაფარს ზოგიერთ უბინაოს. მართლაც საშიშარ მდგომარეობაში ჩაყარდნა დიდი პარიჟი, რომ მან ღატაკთათვის თითო-ორი გროშიც არ გაიმეტოს და სიტუაციაში დახლოვს ყველა, ვინც კი თანამედროვე ცხოვრების ჩარხის ტრიალმა უღუკმა-პუროთ ქუჩაზე გამოყარა... მათ დაშოშმინებას და არ გამწარებას მოითხოვს არსებულ პირობათა დაცვის სურვილი...

ცალკე ჯგუფების ან ვაჭარ-ჩარჩების სულ-გრძელობაც ასეთივე ფსიხოლოგიური საზომით უნდა გაიზომოს. თითოეული წრე წვრილ ვაჭარ-ჩარჩების ან სხვილ კომერსანტებისა და ბანკირებისა ცდილობს რაც შეიძლება მეტი მომხრე, მეტი დამხმარე მოიპოვოს. ამისთვის თითოეული წრე იძულებულია რითიმე აამოს იმათ, ვისიც დამხარება მას ესაჭიროება და სავლეთ ევროპაში მდიდრები უკაუბებენ დიდ თანაგრძობას გლეხებს, მუშებს, წვრილ ვაჭრებს, რომ მათ დატყუონ თერთი კენჭები სახელმწიფოს წარმომადგენელთა არჩევის დროს. ხშირათ ღარიბ ხალხს გაუმართავენი სკოლებს (რასაკვირველია; თავის გემოს მიხედვით...) ან გაუწევენ სხვაგვარ დახმარებას და შემდეგ მათი არჩევისა პარლამენტში, ისეთ კანონებს და წესებს შემოიღებენ და განამტკიცებენ, რომელთა მეოხებით თვით მათივე მიკომარეობა ბევრათ გაუმჯობესდება. ამნაირათ, ქველ-მოქმედებით, ზოგიერთი პირების დაჯილდოვებით ეს ვაჭარ-ბატონები შეენივრათ ემსახურებიან ბურჟუაზულ მიზანს.

\*) იხ. „მგ.“ № 44 და 45.

რუსეთში ქველ-მოქმედებას ხშირათ იწვევს საპატრიო მოქალაქობის სახელის და ან ორდენ-ჩინების მიღების სურვილი. მაგრამ არიან, რასაკვირველია, გულ-წრფელი, უანგარო ქველ-მოქმედნიც. დღეს მრავალი დიდი საქველ-მოქმედო დაწესებულება არსებობს და ამ გარემოებას შეეძლო მრავალი ადამიანის გულში ჩაენერგა სურვილი უანგაროთ დახმარებისა.

არის კიდევ მრავალი შემთხვევითი, მეორე და მესამე ხარისხის ფსიქოლოგიური მიზეზები, რომელნიც ხშირათ გულ-ქვა ადამიანსაც გამოაღებინებს საქველ-მოქმედო საქმისათვის ფულს; მაგრამ ამ შემთხვევებს ძლიერ ცოტა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათ გამოკვლევას ჩვენ აქ ვერ შეუდგებით.

ეხლა დაუბრუნდეთ ადგილობრივ სომხობის ბურჟუაზიას. გაბატონებული სომხები ყოველგვარ შეღავათს აძლევენ სომხის ხალხს, რომ მან თბილისში ფეხი გაიმაგროს; ხოლო ბატონთა აზრი ისაა, რომ ამით გაამრავლონ თვისი კლიენტები. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი, ე. ი. კლიენტები, მეტს სარგებლობენ თვის შემწეთაგან, ვიდრე შემწენი თავის კლიენტთაგან. სრულიად არა. სომხების ბურჟუაზია თხოულობს მათგან მეტ მსხვერპლს, ვინემ მოწყალეობა იძლევა. კლიენტები მუდამ ღარიბი და დამოკიდებული უნდა დარჩენ და მათი ერთგულებით და შრომით უნდა გაძლიერდეს, განმტკიცდეს ეკონომიური და საზოგადოებრივი მდგომარეობა მათი მწყალობლებისა.

მაშასადამე, თუ ეს ვაე-ბატონები ჩარჩ-ვაჭრებს წარმოადგენენ საქართველოში და თუ მათი ინტერესები ერთნაირათ ეწინააღმდეგება როგორც ქართველი ხალხის ისე ღარიბ და მშრომელ სომხთა ინტერესებს, მაშინ ეს ორი ელემენტი (ღარიბი, მშრომელი ქართველობა და სომხობა) ძმურათ უნდა შეერთდნ საერთო მტერთან საბრძოლველათ.

მაგრამ ქართველებმაც თავის წრიდან უკვე წამოაყენეს ჩარჩ-ვაჭრები... განა იმათ ხელი უნდა დავაფროთ! ნუ თუ ვინმეს გონია, რომ ქართველი ბურჟუაზია სხვა ერების ბურჟუაზიისაგან რითიმე არსებითათ განსხვავდება!? არა, ბურჟუა ყოველგან ბურჟუაა და ყოველგან ერთნაირათ სწოვს თავის მსხვერპლის სისხლს.

ზოგიერთს გონია, ვითომ ქართველ ჩარჩ-ვაჭრების გამრავლება საჭირო იყოს ქართველი ერის გაძლიერებისათვის. შემცდარი აზრია. ქართველ ჩარჩ-ვაჭრებთა გაძლიერება ერს უფრო დაასუსტებს, დააქვეითებს. შინაური მტერი-მოლაღატე გარეულზე უფრო საშიშარია. ექსპლუატატორი ყოველგან ერთნაირათ საზიზღარი და მანება ხალხისათვის. მიუხედავთ ამისა, ცხოვრების წინსვლა ყოველგან ბადებს ექსპლუატატორებს, როგორც აუცილებელ ბოროტებას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ცხოვრების ცუდ მხარეების და ძალების განვითარება-გაძლიერებას დახმარება უნდა გავუწიოთ... ერის ეკონომიური ზრდა უსათუოთ გაამრავლებს და გაასუქებს ჩარჩებს, მაგრამ, მეორე მხრით, იგივე ზრდა აღვიძებს გონებას, აზროვნებას და უჩვენებს ხალხს ამ ჩარჩების სიბოროტეს, სიყალბეს, სისაძაღლეს. პატრიოსანი საზოგადო მოღვაწე იმას კი არ ურნდა ურჩევდეს თავის მემამულე—მსხვერპლს, რომ ის მანურათ დანებდეს—დაემორჩილოს მყველფელს; პატრიოსანი მოღვაწე მოვალეა მსხვერპლს შეაგნებოს—ვინაა მტერი და რა გზით შეეძლება მას მტრის დამხობა. ანაირათ პატრიოსანი მოღვაწე ქვეშაობით სამსახურს გაუწევს თავის ერის ნამდვილ წარმომადგენელს, გააძლიერებს ერის საუკეთესო შვილებს.

ხალხში შეგნების განვითარება და თავის დაცვის სურვილის აღძრვა იგივე ერის გაძლიერებაა; ხალხის დაცემა კი —ერის დაცემაა, რადგან ერის ბურჟი, ერის დიდების წყა-

რო, ერის საუნჯე —ხალხია და არა ბურჟუაზია. ნამდვილი შეგნებული მოღვაწე, მოღვაწე პატრიოსანი ისაა, ვინც ხალხის ინტერესებს არც ერთ შემთხვევაში არ ამსხვერპლებს ჩარჩების ინტერესებს. ბურჟუა ყოველგან და ყოველთვის დალატობს როგორც ხალხს, ისე თავის ერს, რადგან ერთის დალატი მეორის დალატიცაა.

გასუქეკულო სომხს ჩარჩს აქა-იქ ქართველი მქლე ჩარჩი უწევს მეტოქეობას... რა უნდა ქნას პატრიოსანმა ქართველმა მოღვაწემ? ნუ თუ ის ქართველ ჩარჩის გასუქებას ამსხვერპლებს ქართველ ხალხის ინტერესებს?! ნუ თუ ის ერთ ჩარჩს გამოვსარჩლება მეორე ჩარჩის წინააღმდეგ მხოლოთ იმიტომ, რომ ერთი—შინაურია და მეორე—გარეული!?. \*)

ამ საგანზე ზოგიერთებს ახირებული შეხედულობა აქვთ. მათი აზრით თანამემამულე ჩარჩ-ბაცატთა გამრავლება და ეკონომიურათ მათი გაძლიერება იგივე ერის წინ წაწევია...

ზევით უკვე აღვნიშნეთ ერის რომელ ელემენტს უნდა გამოვსარჩოლს პატრიოსანი შეგნებული პატრიოტი-მოღვაწე. ერის, სახელმწიფოს განვითარება ძველ დროში და ეხლა ძლიერ განსხვავდება ერთი მეორისგან. ძველ დროში თითოეული ერი, სახელმწიფო გაცილებით უფრო განცალკევებული კარჩაკეტილი იყო. თუმცა მაშინაც ერს ყავდა თავისებური ჩარჩები; მაგრამ საერთო პირობები სულ სხვა იყო. დღეს ბურჟუაზიას სამშობლო არა აქვს. მისი სული ფულში ჩასახლდა და ფული კი მხოლოთ იქ მიდის და ისეთ პირობებს ეძებს, სადაც და რომელშიდაც ის უფრო სისწრაფით გაიზდება. ფულს თავის ფსიქოლოგია აქვს და ეს ფსიქოლოგია დღეს ბურჟუაზიის ფსიქოლოგიათ იქცა. ფულმა შებრალება არ აცის; მას სამშობლო არა აქვს და არც სიყვარული რომელიმე ერის შვილებისადმი. ის ცეოცია. ასეთია ფულის ბუნება და ასეთია თვისება ბურჟუაზიის სულისა, რომლის სამშობლო მხოლოთ ფულია.

თუ ეს ასეა, მაშ ბურჟუაზიათა გამოსარჩლება ნამდვილი პატრიოტობას, ერის დაცვა-გაძლიერებას ეწინააღმდეგება. ეს აშკარაა.

პატრიოსანი დი სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულ მოღვაწის სიმპატია უნდა ეკუთვნოდეს იმათ, ვისიც სული ფულში არ ჩაბუდებულა, ვინც ცდილობს ადამიანის სული ეგოისტი ფულის ბრქვალეებიდან დაიხსნას...

დ. კიკელიძე.

(შემდეგი იქნება).

## დ ე ვ ე უ ა

ადგილობრივ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: 26 ოქტომბერს, კიევის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია სიქმე დამნაშავეისა, რომელსაც უნდოდა ხარკოვის გუბერნატორის მოკვლა. დამნაშავეს მისაჯა ყოველ-გვარ უფლების და უპირატესობის ჩამორთმევა და სიკვდილი ჩამოხრჩობით.

\*) არის ისეთი მომენტი, კერძო შემთხვევა, როდესაც პატრიოსანი მოღვაწე დაიჭერს ერთი ჩარჩის მხარეს მეორე ჩარჩის წინააღმდეგ. მაგ.: როდესაც სადავო კითხვს ანუ და არა ისე გადაჭრას ხალხს შეუძლია მოუტანოს რამე სარგებლობა. მაგრამ აქ დიდი სიფრთხილე ჭირდება პატრიოსან მოღვაწეს. მას ერთი რამ მუდამ უნდა ახსოვდეს: ერთ ჩარჩთან მეორე ჩარჩის წინააღმდეგ ზავის შეკვრა უნდა იყოს განსაზღვრული ყვეთვის თითო ნომენტით, თვითუფლი შემთხვევით, გათავდა რომელიმე სადავო კითხვის გადაჭრა და ზავიც უნდა შეწყდეს.



თავადმა ორლენსკიმ წარმოადგანა უკვე შევრდომილესი თხოვნა დაწინაშავის პატივებისათვის.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და სიკვდილით დასჯა შეცვლილ იქმნას კატორგაში უვადოთ გაგზავნით.

### სხვა-დასხვა ამბები.

ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ ახალ ხმოსანთა არჩევნები თფილისში კანონიერად იცნო წარმოებულნი; ხოლო ხმოსანთა რიცხვიდან გამორიცხა: მე-3 საარჩევნო ნაწილში ბ-ნი ზღვუკინი, რომელმაც თანასწორი რიცხვი კენჭი მიიღო; 1-ლ ნაწილში კ. ს. სარკისოვი, რომელსაც უფლება არ ქონია კენჭი ეყარა. ამათ მაგიერ ხმოსნებათ შერიცხეს კანდიდატები: ვ. სააჯიშვილი, ფ. ჰინი და ნ. გრიჭუროვი. გამორიცხა აგრეთვე, თანახმად თხოვნისა, თავ. გ. დიასამიძე.

მთავრობას გადაუწყვეტია, ტელეგრაფის მათეულები გააბას სოტუმიდან ნოვოროსიისკამდე, ტფილისიდან ახალციხამდე და ბაქოდან სელიანამდე.

როგორც გახტებები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტროში მალე დასრულდება განხილვა იმ პროექტისა, რომელიც დიდი ხანია შეადგინა თფილისის გუბერნატორათ ყოფილმა თავ. გ. დ. შერვაშიძემ სასოფლო-სამეურნეო თანხების შედგენისა და ხმარების შესახებ.

ამას წინათ მეტეხის საპრობირეს მღვდელმა მ. ჯავაშვილმა სთხოვა გუბერნატორს, ნება დაერთოთ პატიმართების საჯარო სკოლა გაეშალათ. გუბერნატორს მოუწონებია მ. ჯავაშვილის შუამდგომლობა და ნება დაურთავს. ჯავაშვილს ფულიც შეუკრებია სკოლის მოსაწყობათ და წიგნებისა და სხვა საჭირო მასალის მოსაპოვებლათ. ამავე საქმისთვის საგუბერნიო საპატიმროთა კომიტეტს შეუწირავს 120 მანეთი. სკოლა უკვე მზათ არის და სწავლა უნდა დაეწყოთ 3 ნოემბერს. მასწავლებლობა უკისრიათ ბ. ბ. ხრამელაშვილს, დუმბაძეს და ბუჭურაულს.

როგორც გახტებები გვაუწყებს ჩაქვანში 31 ოქტომბერს, ნაშუადღევს 3 საათზე რკინის გზის ღიანდაგის ისართან ექვსი შეიარაღებული კაცი თავს დასცემია საუფლისწულო მამულის ბუნებულტერს. ბოროტ-მომქმედებმა გაძარცვეს იგი, ამასთან მიძიმედაც დასჭრეს. ბუნებულტერს თან 4000 მანეთი ჰქონია, მაგრამ ძალიან ცოტა წაუღიათ, რადგან ფული დამალული ქონდა თურმე. დაპრილის მისაშველებლათ მუშები გაქანებულან, მაგრამ ბოროტ-განმზრახველთ იმათთვისაც უსრულდით და ერთი მიძიმეთ დაუჭრათ.

ამ დღეებში განჯის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც მომავალ დეკემბრის პირველ რიცხვიდან აღკრძალულია ყოველ-გვარი თოფ-იარაღის, ხმალი-ხანჯლის ტარება განჯასა, ნუსხა და შუშაში. იარაღის ტარება თუ ვისმეს უნდა, ამის ნება უნდა გუბერნატორისაგან გამოითხოვოს ყოველწელიწადს—პოლიცემისტრისა თუ მზრის უფროსის საშუალებით. ვისაც ნება მიეცემა იარაღის ტარებისა, ჯეროვნათ დამტკიცებული მოწმობა თან უნდა ატაროს, რომ პირველივე მოთხოვნისასამებრ პოლიციას წარუდგინოს.

იმავე დღიდან იმავე ქალაქებში აღეკრძალებათ იარაღებით ვაჭრობა იმათ, ვისაც გუბერნატორისაგან უკრძალავს ვაჭრობა. იმა გარდა, ვაჭარს უნდა ქონდეს ქვეყნის სხვადასხვა უნდა ჩაიწეროს, რამდენი და რაგვარი იარაღი აქვს და ვის როდის, რომელი იარაღი და ვისი ნებართვით მიუიდა. ასეთი ნებართვის ქაღალდები გამყიდველმა უნდა ჩამოარი ვას შეიღვევს და თითონ შეინახოს, როგორც საბუთი.

როგორც შევიტყვეთ, საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა ამ თვეში მოხდება.

ამ დღეებში ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა და მოწვეული ჰირები დაამთავრებენ საპრემიოთ წარდგენილ პიესების კითხვას.

უკანასკნელ ღრის თფილისში გავრცელდა სხვა და სხვა გადამდები სენი. მართა უკანასკნელ კვირის განმავლობაში, სასანიტარო-საექიმო საბჭოს ცნობებით, 22 კაცი გახდა ავით გადამდებ სენით, უმეტესათ ქუნთრუშითა და დიფტერიით.

თბილისის პოლიცემისტრს უცნობებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ მომავალ წლისათვის არცვის ნებას არ მივცემ სანიკიტნო ან ტრაქტირი გახსნას შენდგე ქუჩებზე: გოლოვინის და მიხეილის პროსპექტზე, ვერის აღმართზე, ოღვინსკისა, ღორის-მელიქოვისა და იმ ქუჩებზე, სადაც მჭიდროთ მოსახლეობაა.

რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ყალბი სამგზავრო ბილეთების გავრცელება აღმოჩნდა, ამიტომ განზრახვა აქვთ ამ გზებზე ახალი სახის ბილეთები შემოიღონ.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე და ქუთაისის ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე მომავალ თვის პირველ რიცხვებში თურმე აპირებენ პეტერბურგს გაემგზავრებან. ქალაქის მოურავსა სურს გზათა მინისტრს სოჩაში ჩაუსწროს, რომელთანაც ქუთაისზე რკინის გზის გაყვანის შესახებ უნდა იშუამდგომლოს.

რედაქციამ მიიღო ორი წიგნი: 1) ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნოდან ვიდრე XX საუკუნომდე მღვდელი მ. თამარიშვილი თფილისი. 1902 წ. გვ. 844—XII. 2) Армяескіе ученые и воинопіе камни, И. Г. Чавчавадзе. Переводъ Н. И. Алексѣевъ-Месхіева.

### კორესპონდენციები.

დ. ხონი. მცხარეთა რიცხვი ამ უკანასკნელ ხუთი წლის მიმდინარებაში დ. ხონში შესამჩნევად გაიზარდა. სოფლები: ივანდიდს, კუხს, მანთლახს დღითა დღე ტოვებენ მკვიდრნი და სამუდამათ დ. ხონში ესახებიან. ხონში მოსახლეობის მსურველთა რიცხვის გადიდება შესამჩნევად მოუმატა მიწებს ფასი: დღეს ხონში სამოსახლოთ თხ. კუთხა საყენი მიწა იყიდება ანა ნაკლებ თხის მანეთის. უმეტესი ნაწილი ახლათ გადმოსახლებულებისა ვაჭრობას ეტანება.

ზარასკეობით დ. ხონში სოფლებს შემოაქვთ სხვა და სხვა ჩიკთები, შემოყვით ცხოველები გასასუიდათ; გამოიდელები და შეადგელები, ხდიან ბაჟს შემოტახილ საქანელზე. შეკრებილი ფული მიადის დაბის სხვა და სხვა საჭირთების დასაქმეთათებათ. ს უსურველია, რომ იმ ზნით, რომლებიც ზარასკეობით ბაჟს კრე-

ფენ თავიანთ ხელმოწერა კვატანცია მაცენ ვისკანაც ბაჟს იღებენ, თვაითნ კი ტალხი დაიტოვან. ამით ისინი დაიხსნან სოფლებს, რომლებსაც თავიან გამოუგდებოდათ ორჯელ სდებთ ბაჟი, და თანაც ხათლათ ნახკეხეა იქნება ტალხებში, თუ რამდენი ფული იკრიბება ხანსკეობით. ამგვარათ ბაჟის შერეფლებიც განთავისუფლებიან ცილის-წამებისაგან.

ხანში არსებობს „Санитарная комиссия“, მაგრამ, რასაკარგულად, მარტო არსებობს არ ვბრძა, არსებობსთხ ერთთ სს-ჭირთა მოქმედება და აი, სწორეთ ეს აგლა ჩვენ სანიტარების. ხშირათ შესვლება ხანში დაუწყებდელ, დაუსრულებელ ქუჩებს, ზოგ ალკის ცხვირ ახვეული თუ გაიღლი ქუჩებში, თორემ ისე შეუძლებელია. ერთხან სხნელები ძალიან მონდომებელი იყვენ ს. მოიხანის და დ. ხონის შემადერთებელი ხადა აგრა ცხენისწავლზე, რამდენჯერმე კიდევაც შეკრიბა პატარეკმულმა ავანე შარამიძემ ხონელები ერთათ და თხვავ დასმარება აღმოჩინა. ხონელებმაც აღუთქვეს დასმარების აღმოჩენა, განსაკუთრებით ვაჭრებმა, რომელთათვის ხადს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ყმათ კი ამ საქმასათვის მოქმედება და ბასია სრულიათ შეწყვეტილია. იმედია ავანე შარამიძე ამ სამხატაურ საქმეს შეუსრულებულს არ დატოვებს.

ილია ბახტაძე.

**სოფ. ციხის-ფარდი** (გურია). სოფელი ციხისფარდი, რომლის გავრით ეკონომიურათ დასრულება ამ წერილის საგანს შეადგენს, მდებარეობს გურიათის სამამსახლისში, ოზურგეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 4 ვერსის დაშორებით. ამ სოფელს მდ. სკურდული ორ ნაწილათ ეყოფს. ერთ ნაწილს, მდინარის მარცხენით მხრათ მდებარეს, ეწოდება ვაშნარი. სამხრეთ-დასავლეთის მხრით ს. ციხისფარდს აკრავს ოზურგეთიდან სადგ. ნატანებმდე მიმავალი საეტლე შარ-გზა, რომელსედაც დღათ და დამათაც შეუწყვეტილი მოძრაობაა. აქვე ასდის ჩამოურბუნენ მას გურია-აჭარის გაყმაყი შვილები—ნატანები და ყუყი. მდებარეობს ციხისფარდისა, როგორც სსზოგადთ, მთელი გურიათისა, უმეტესათ დაკარდნადი და ჭაობიანა, ჭავა მეტის-მეტათ ნუსტიანა და ანტი-ჰიგიენურია, რას შედეგიც ადგილობრავ შკადრთა სშირა ცვა-ცხელებს და სხნის სიკეთლე-უფერობას.

სოფელ ციხის-ფარდში, ვარდა ერთა შებატონისა და რვა კომლამდე ახნურებისა, ეველს გლეხებისა, დასხობებით 140 მოსახლემდე. აქაური წვირელ-ფეხს ახნურება დიდი ხანია ვითათარებას გადატარების გზასე გამოურეგინა და დღეს გლეხებისაგან დასფრით განიჩევიან... გლეხები ეველს მეურნეისა, მაგრამ მათ ვად უმეტესობას (თათქმან მს ზრდვ.) არა აბადია რა, ვარდა იმ ორად არმანი მიწის ნაკვეთებისა, რომელსედაც გულსავლავათ აწართულია სხლას კარაკატურის შტავსა—უფანჯრო, უჭერ-უხერ, იატაკ-მოუგებელი და ისრით გადახურული ქხის-მსხები, რომლებს შინაგანი მორთულობა ნამდვილი გოგია უიშვილისებურია. არიან ისეთი გლეხებიც, რომლებმაც საკუთარი მიწის ნატამაღიც არ მოეზოვებათ, ისინი მოსახლბუნ შებატონის მამულზე და ეფველ წლეგ მის მიერ დაკანბებულ გადასახადს იხდიან (სამოსხლარზე 4—5 მანეთამდე).

ერთათ ერთი წენარი აქაური მეურნე—გლეხების არსებითი მოთხოვნილებათა და სხვა და სხვა გადასახადთ ასე თუ ისე დამავაჟიფებელი—სიმიანდა. სხვა დარგს მეურნეობისა არ მისადგვენ და არც საამისოთ საჭირთა ზირობები უწყობენ ხელს მის გავრცელებას. მაგრამ გლეხი, როგორც ვთქვით, მოკლებულია საკუთარ დასამუშავებელ მიწებს და ეს კი მას აიძულებს იმუშაოს სხვის მამულებში მისთვის არა ხელსაყრელ ზირობებით. აი მაგ.: ერთ ქვევს მიწასე ის იხთის დალას 20—25 ფუთამდე სიმიანდა და ერთ მანეთსაც „საღურობის“ (ეს „საღურობა“ მას აქეთ შემოიღეს, როცა მიწებს რაოდენობის დავარათ ბაჟი დაედა; ამ

სხით გლეხი სხვის მიწასე იხთის ბაჟს!). ხალხ აქაური მიწის ქვევსე, ორთა შუა რიცხვით რომ ვააცარიშოთ, მოდის 40 ფუთამდე სიმიანდა. თითო კამოს კი შეუძლია დამუშავება 7 ქვევს მიწისა. მამსადამე მას შეუძლია მოეკანოს დასამუშავლად ორდით 7 ქვევს მიწასე არა უმეტეს 280 ფუთი სიმიანდას. აქედან მიწის შესაკუთრესთან დალათ მამქვს 140 ფუთი სიმიანდა, ხალხ მას კი რჩება მოსავლის ნახევარი—140 ფუთი სიმიანდა და ხშირათ 100-ც.

სწორეთ ეს 140 ფუთი სიმიანდა მთელი „სამდიდრე“ აქაური მეურნე—გლეხისა, რომლის მოზობისათვის დღეს დამქსთან სწორებდა ის მთელი წლას განმავლობაში და რომელიც ერთათ ერთი ჯადო „მალამა“ მასა ათას-გვარი ჭირ-ვარამის „დამამებელ-დამაუფებელი“. ამ „უმეტელია წყაროთი“ უნდა დაავაჟიფებულს გლეხმა—სახელმწიფო გადასახადებიც, მღვდელიც, მამსახლისიც, მასწავლებელიც; უნდა გაისტუმრეს დამუშავებული მიწის, საბაღისა და შუშის (ტუის) ბაჟები; უნდა წლეადან-წლეამდე გამოეგებოს და შემოსოს გლეხის ოჯახობა... თუ რა ერთს დაეღება მტლათ ეს რადაც 140 და თუნდაც 150 ფუთი სიმიანდა, ადვილი მისახვედრია! ეს კარგ მოსავლიან წლებში, ისეთებში კი, როგორც წარსული (1091) და მიმდინარე წლებია, გლეხი ხშირათ სრულიათ ზირში ჩალა-გამოვლებული და ეინულზე განურებული რჩება, მით უმეტეს რომ, მოუნდავით მოუსავლობისა, ის დალას მანც კაი მოსავლიან წლას ვვლობასე იხდის. იყო მაგალითები—მიწასე დალას გასსტუმრებელიც არ მოსულა და გლეხი კი იძულებულია ეოფილას „სხვა წყაროდან“ გადაეხდა. თუ რა უკადურეს გაჭირვება-განსაცდელს ითმენს გლეხი ასეთ წლებში, ამას დასსურთობლათ სავარაზისა მოვიყვანოთ მდგომარე წლეადან ზოგაერთი ფაქტები: ჯერ კიდევ მისის ზირველსავე რიცხვებში ამ სოფლის 120 გლეხმა თხონათ მიმართეს ერთ ერთ შებატონეს: გვიყავ წყალობა. ლამის ცოლ-შვილი შიმშილით დაგვეხორცოს, გასესხე სიმიანდა და ახლ მოსაკლას დროს ჩვეულებრავ ერთი ორთ ვვახდევინეთ... აღმოჩნდა, რომ გლეხები დამშუღლიყვნენ, რომ მათ აზროლის შუა რიცხვამდე არ მიეფლოდათ სსჭმელი სიმიანდა. მთელს ზეფხულს სოფელში საშინელი შიმშილობა მძვინვარებდა. ხალხა მჭადის მაგიერ—მარტო კევერს მხლას შეჭამდასე, მახრმულ ნედლ სიმიანდას და ხანზე, ხანტა-მსხლის ოფიონასე და ხალზე გადადიოდა ჯერს. ასეთმა სსკვებმა გამოიწვია კუჭისა და მეცლას ნაირ-ნაირი სხეულებანი. გაჭირვება იქნადის გაძლიერდა, რომ ჯერ კიდევ 8 აგვისტოდან ხალხმა ჩვილ, ახალგულ-გაკეთებულ სიმიანდას დაუწყო ტუხს და მხეზე შრობა, რომ ჯერ კიდევ...

უკადურესა სალარბე-გაჭარკება და ბოლას სულათ-სორცამდე სრულიათ გადატარება ეფველ-წლეგ არა ერთს და ორ გლეხს სსმუდამით ატოვებინებს სოფელს და გრძელი სახრით „ბედის საძებნელათ“ ქალაქის ქარხნებში მიერეკება. ასეთთა ლოდავა დროისა და იტორაულ მოვლენათა კანბებისა, რომლის ხსმხეფს სოფელი ციხის-ფარდი და მასთან მთელი გურიათის რაიონიც ვერ ასცდენა.

ე. სალუქვაძე

**აშთაიისი** (სახალხო წარმოდგენა). სამა-ოთხი წლის წინათ, როდესაც ქუთაისში სახალხო წარმოდგენები ზირველათ იკიდებდა ფეხს, „ივერიათ“ ფურცლებზე განსწავლულნი „უხრიაკელი ზედა-გოგები“ და „ქ ზიუელი ზანკები“ სსში ეღმს შიშის ზარმს შეიზერო: ეს არის დავიდუბეთ, ხალხ, გაყვნა, ზნეობა დაეცა, სახალხო თეატრი ჩვენი უნადგოდა, შორი ქვეყნიდან ძალათ გადმონერგა იო. ასე მოთქვამდენ ხალხის ზნეობის დამცველი სიბნელის მოციქულნი და წვევლა კრულვას უგზ ვნიდენ სახალხო თეატრის ხელმძღვანელთ. მაგრამ განვლდ დრომ და ქიზიუელ ზანკთა მოთქმა-გოდებაც თქვენმა ჭირმა წაიღო: „უნიადგო“ სინათლის სსივი თანდათან გაიზარდა, ფართო ქუჩებიდან ქალაქის მივარდნილ კუთ-



ხეობში შეიჭრა და ტვირთ მიძიმეთ და მსურდათა სარკმელშიაც შეხანათ. „უნიდაგო“ დაწესებულება სულ უფრო და უფრო გაღონიერდა. პირველ ხანებში თუ სანთლით სავაჭარი იყო სტენის მუშაგანი, სამაგიეროთ დღეს მსურველთა რიცხვი თითქმის ყოველთვის სავაჭრისა. რეპერტუარიც თან და თან გაუმჯობესდა და ვიდრე უფრო ბასა და უშინაარსო დრამების მაგიერ—რომელითაც ადგილობრივმა დრამატოულმა დასმა საზოგადოებას თავი მოახეზრა, სახალხო წარმოდგენების სექცია არჩევს ნამდვილ დროის შესაფერ, ხალხისთვის გასაკებ, შინაარსიან ზეესებ.

ასეთ შინაარსიან და ხალხისთვის შესაფერ (თუმცა არა ნამდვილ ხელფანურ) ზეესებთ უნდა ჩიოვდეს ქ. ახანის „გაცრუებული იმედები“ და ბ. დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, რომელიც 1 ნოემბერს წარმოდგინეს. მონაწილეობას იღებდნენ სპეტესო ძალები და წარმოდგენამაც ძლიერ კარგათ ჩაიარა. „გაცრუებული იმედები“ უფროდებო მიიზნენ ქ ქავთარაძემ და ბ. შევლიძემ—ზირველმა ნინასა და მეორემ სტეფან ზარდაღვის როლი. ქ. ქავთარაძეს გაბუნია ცაგარლის შემდეგ ზირველი ადგილი უნდა დაეთმოს, ის დაამზებებს ყოველ სტენას. ეს მეორე წელიწადის რაც ბ. შევლიძე ქუთაისის სახალხო თეატრს ემსახურება სულით და გულით; ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრჯერ ვვიუარებთ მისი თამაშისთვის კინო-ბეტრუ-ძმა ბაჭების როლებში, მაგრამ „მუშხინის“ ზარდაღების როლი ის ზირველათ გამოვიდა 1 ნოემბერს და უნდა ვთქვათ სიმართლე, დირსულადაც შესრულა, ბევრი უფრო კარგათ, ვიდრე ძმა ბაჭების როლები. სტეფან ზარდაღვი თავის ზრატოიული ფილოსოფიით—იუავ „ლოპკი“, გაიხედა და ისე მოიქცა, როგორც ყველა შენი ნაცნობები და მეგობრები იქცევიან, (ე. ი. სიმამლისთვის სინდისზეც ვი ხელიაიდე), სტეფან ზარდაღვი თავის „მუშხინური“ მორალით, სტეფან ზარდაღვი, რომელიც ყველას, ვინც მასავით არ ფიქრობს უჭკუოსა და „მეშინიის“ უძხის, რომელსაც ყოველისფერი რაც მუცლის კერძს და ნივთიერ სარგებლობას არ შეადგენს „მორტვი კანტაღა“ გონის, რომლისთვის უძრად „ხნ.ი.ი.“ უფრო მტრი თასი აქვს, ვიდრე მუსიკას, ისე ცოცხლათ დაგვიხატა ბ. შევლიძემ, რომ დიდხანს დარჩება ის ჩვენს მესხიერებაში. ზომ ასეთი არა სიმამლიური ზირია სტეფან ზარდაღვი, მაგრამ ის იმას ამბობს, იმას ჩადის, რაც ნამდვილათ რწამს და მსურველთა უმეტესობის თანაგრძობობა მისკენ დარჩა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მისი მოზირდაზირე ახალი თათბა: ქალი (რომელიც კურსებზე ეზირება და სერიოზობის ნიშნათ მუდამ წიგნებს ატარებს ხელით, ექიმშივილი ვანო და ვანო ადვოკატი—სახიობ, რომელიც თავის მოღვაწეობას ქველ-მოქმედებით დაწყო და ქველ-მოქმედებთ ვე გაათავებს, იმდენათ სუსტი და არა სერიოზული ხალხი— განსაკუთრებთ ვანო და სონა, რომ მსურველთა სიმამლიის ვერ დაიმსახურებენ, თუმცა რაც ვი შეიძლება ვანოს როლი ბ. ჯავთარაძემ კარგათ ჩატარა. ბ. მიქელაძე ვი ვანოს როლი მოარბიეუ ვავადერს უფრო წააკავდა, ვიდრე სერიოზულ ადვოკატს, რომელსაც ადგილობრივი სხარდონები ძლიერ არ მოსწონს. კარგათ ჩატარეს თავისი იმ როლები ქქ, გიგურმა, \* -მა და ს.ს.მა, ბ. ნ.მა და ბ. ვვიინაძემ.

„ირინეს ბედნიერებაში“ სამი უნთავრესი როლია: ფილინე ბარბაქაძის, აბესლომ სალამთაძის და ვიქტორის. ფილინე ტინიური იმერელია და ბ. ვ. ბალახივიძემ ეს ტინი შევნივრათ დაგვიხატა. ზეესის ავტორს, რომელიც დაწერია ბ. ბალახივიძის თამაშს, უთქვამს: ეს ჩემი ფილინე არ არის. ფილინე ბარბაქაძე, რომელსაც ჩვენ 1 ნოემბერს ვუუარებდით სტენას, შექმნილია მხოლოდ ბალახივიძის მიერ.

აბესლომ სალამთაძე—გადავარების გზაზე მდგომი წოდების უკანასკნელი სასახელი შეიღა, თავზე ხელ ადებუდი, რომელსაც ქალი მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ ზირუტევილი ინსტიტუტი დიკამუფიდილეს, აბესლომ სანთლით სავაჭარი არ არის: შედით ქუთაისის ბულვარში და ხსავთ აბესლომს, შეიხედეთ ვასრითობში

და დინახავთ მას; აბესლომებით არის სავსე ქუთაისის სასტუმროები, უაბესლომით არ ჩივდის არც ერთი სოფლის დედასწული, არც ერთი ქორწილი კეთილშობილ ოჯახში, სადაც აბესლომის ხმალი სინთით უნდა გაისვაროს. აბესლომ გახლავს კეთილშობილ წოდებას დიდი შვილი, რომელიც შევნივრათ დაგვიხატა ბ. ქუჭმა.

ვიქტორი— აუცილებელი წევრია ყოველი საზოგადოების, უმისოთ შეუძლებელია როგორც ღვინი ისე ტირილი, უმისოთ ვერ ვათხოვდება კერც ერთი ქალი სოფელში, ვერც ერთი ახლავდა ცოლს ვერ მოიყვანს: ყოველგან ბიქტორის რჩევაა სჭირთ: ბიქტორ ჩემო, აბა შენ იგი და შენმა კანობში, როგორ დაშენმარები ამ და ამ საქმეში. კეთილშობის მას და ისიც იმერულათ მოიკდებს ქუდს თავზე და დახლის მიწახე: ასე დაიქცეს ჩემი ოჯახი თუ შენდა კეთილი არ მსურდესო. ყველასი შესაიღვილე ის არის, მისგან არავის არავერი წყენია, არც გული მოყვას ოჯახათ. და მხოლოდ ასეთ კაცს შეეძლო მდგარიყო აბესლომით ირინე და და ზავლე რომამივილის შუა. ვიქტორის როლს თამაშობდა ბ. დ. ჩარკვიანი და კარვადაც ჩატარა, კარვად ჩატარა ირინეს როლი ქ. ვვიტაძემაც. დანარჩენი მოთამაშენი თავთავით ადგილას იყვენ.

სათეატრო კომიუტის წევრებმა და მოთამაშეებმა ყოველი დონე იხმარეს წარმოდგენის კარგათ ჩატარებისთვის, რაც სახა ზნო თეატრს დიდს მომავალს უქადის. თეატრში ტევა აღარ იყო.

Parole.

### რუსეთის ცხოვრება

გზათა სამინისტრომ გადასწვიტა დაარსდეს 1903 წელს რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში ათი ახალი სატენიეო სასწავლებელი-

— რეინის გზაზე შადა რუსეთში ამ უამათ დიდა სარდალობას: აუარებელი ზურია შეგროვილი სადგურებში. მატარებლების უქონლობის გამო, ეს ზური ვერ გააქვთ საზღვარ-გარეთ. ყოველ დღე თხოვანს თხოვანზე გზავნიან ზურის მატარებები და ესევეებას სამინისტროს, ვვიშველეთ რამეო. ამ რიგათ 30 მილიონი იუთია სადგურებზე შეგროვილი. სოგან ზური ღებუბ ვიდრე თურმე.

— ზეტერბურგში უაგე დაწყო სხდომები იმი კომისიისა, რომელმაც მუშათა დაზღვევის საქმე უნდა განიხილეს.

— როგორც სავარაუდოია, მოზავალ წელს საზინს საფოსტო დაწესებულებათაგან წმინდა შემოსავალი ექნება 35 მილიონი მანეთი, სოლო სატელეგრაფო—სატელეფონო დაწესებულებისაგან—22 1/2 მილიონი მანეთი.

— ზირველ ნოემბერს 30 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში დედათა უმადელსი კურსები დაარსდა. 1872 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა ეს კურსები; 1888 წელს დაიხურა, მაგრამ 1900 წელს, 12 წლის შემდეგ, ხელ-ახლა გაიხსნა. 18 წლის განმავლობაში კურსებზე სრული სწავლა დაამთავრა ორი ათასმა ქალმა. ამათ ვარდა იყვენ სხვებიც, რომელნიც ერთ-ერთ წელიწადს სწავლობდენ და ისმენდენ რომელსამე ზროფესორის ლექციებს.

— გზათა სამინისტროს აწრათ აქვს გამოსცეს ახალი წესები მუშანჭახეთა; იმათ თანაშემწეათა და კონდუქტორთა მუშაობა-შესვენების შესახებ.

— ბ-ნო გინსბურგსა და რინდბერტს შთავრებამ ნება დართო გამოსცენ ზეტერბურგში ეტრულ ენაყასადი საზოციოთ და სალიტერატურო გაზეთი „დერ-ფრენდი“ (მეგობარი).

— ზეტერბურგის გრადონახალიკმა განკარგულება მოახდინა, რომ მეუზოვენი და მეკარენი, ქალაქის ზოლიციის ვარდა, საიდუმლო ზოლიციისაც უნდა დემოხიდადენ, ამისთვის საიდუმლო ზოლიციის გამგებობაში დაწესდა განსაკუთრებული მეუზოვეთა განყოფილება.

# ნაკერძკლები

დნეს მისა მანათ და გაბრაზდა მანა. — არაქვეა არაქვეა  
 უკუაღა. — პროტოკოლა, პროტოკოლა უწინარეს უკუაღას. — 30  
 საათიანი სამუშაო დღე ბათუმის საავტოტოო უბანში.

ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს. ამბობს რატო-  
 რიკაო, — ამბობს ი. ქაჭავაძე „კაცია-ადამიანი“. მალე მეც  
 შესავალით დავიწყებ. რასაკვირველია ყველა ადამიანი იცის  
 თუ ვინ არი და რა არი ის. კარგათ იცის მგელია, გველია,  
 თუ მელიაა. და თუ რომ ის მგელურ, გველურ, ან მელურ  
 ღირსებით ირის აღჭურვილი, ყოველ ღონის ძიებას ხმარობს,  
 რომ ეს ღირსებები დამალოა, მიაფუჭოს, ცდლობს საზო-  
 ვადოებს თავი უმანკოთა უმანკოთ მოაზვნოს.. და აუ ამ-  
 გვარ ადამიანს მიუხვდი, აღნიშნე მისი მოქცევა და შესა-  
 ფერი სახელი უწოდე, ოოო... მაშინ მას გაბრაზებას საზ-  
 ღვარი არა აქვს, ის მაშინ ყოველ ღონის ძიებას ხმარობს,  
 რომ შენ, მისი გამომკნობელი, საზოგადოების წინაშე და-  
 გამკიროს, გამოგლანძლოს და მათ გულა მოაფანოს, ე. ი.  
 ხმარობს ყოველგვარ გველურ საშვალეებს.

სწორედ ასე მოუვდა ვიღაც სპექტატორს ჩვენ შესა-  
 ხებ. ამას წინათ ჩვენ აღვნიშნეთ ის უტყუარ ფაქტი, რომ  
 სპექტატორი ჭიათურის ფაშის ყურ-მოჭრილი მონაა, ფაშის  
 „ჯოხია“... იმ ამას აუშურობენა პაწაწა გული პატარა სპექ-  
 ტატორისა. ამ ვაჟბატონმა ჩვენ შენიშვნის შესახებ კონტრც-  
 ვერ დასძრა და მეტი რომ ვერაფერი დაგვაკლო, მასებურათ,  
 ლიტონ ფრაზებათ, გამოგვაყრუა: აი, შენ უნიჭო და უკ-  
 ბილო მეფეოეტონგო... ჰჰ... არა, ძნაო, სპექტატორო!..  
 მაზეზი თქვენი გაბრაზებისა და კბილთა ხრჭენისა არა არს  
 უკბილობა ჩემი ფელეტონებისა, არამედ არს ის, რომ მე  
 გიცანი თქვენ და გიწოდე შესაფერი სახელი — ჭიათურის ფა-  
 შის ჯოხი. დიახ, მონა გიცანთ მონათ და ნუ სტირ ამისა-  
 თვის ბ-ნო სპექტატორო, ვინაიდან მარტო ცრემლებსა და  
 ლიტონ ფრაზებს გასავალი აქვს მხოლოთ მარტო „ცნობის  
 ფურცელში“ და არა სხვაგან. აწ ფრთხილათ, ფრთხილათ  
 ბ-ნო სპექტატორო!.. ჭიათურის ფაშისადმი თქვენი მონური  
 გრძნობა ბევრჯერ ჩაგაყინწისთავებს ტალახსა შინა და  
 რამდენჯერაც ფეხს წაიკრავთ მაგ მონურ გრძნობის გამოც-  
 ხადებაში, იძდენს მეც მოგაყოლებთ ზურგზე და რამდენიც  
 უნდა იღრინოთ — არ ვარგა შენი ფელეტონებო — ეს ვერა-  
 ფერს გიშველით. ჭიათურის ფაშის ჯოხი თქვენ მიანც იქნე-  
 ბით და იქნებით

და გილოცავთ სპექტატორო  
 დიდა ფაშის „ჯოხბას“,  
 ფაშისადმა მონბას,  
 იმის ფესთა-მტკერბას,  
 მის მანქანათ გარდაქმნას,  
 მისთვის თავ-გამოდების,  
 უფაღმა შეკაბერბას  
 მაგ საქებურ ზელობას...

მარა ვინ იცის სპექტატორი შეაბერდება თუ არა მის  
 ნაკისრ ხელობას. ეგ „შეაბერება“ დამოკიდებულია ფაშის  
 ფაშობაზე და თუ რომ ფაშაშ შავ ქვაზე ფეხი წაიკრა და  
 ბინაზე გაიშხლართა, მაშინ ხომ... ერთი სატყვით — დანამდე-  
 ილებით არა ითქმის რა სპექტატორის საქებურ ხელობის ხან-  
 გრძლივობაზე. ხოლო ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ, და-  
 ლოცვილი ქართველები, ერთს ზნეს არამც თუ შევაბერდით,  
 „გადავაბერდით“ კიდევ. ეს საქებური ზნე იმაში მდგომარ-  
 ეობს, რომ ქართველებს ჩვენი ქართული გვარი გვესირცხ-

ვება. ბევრს ქართველს თავის გვარისთვის უმოწყალოთ მოუ-  
 კვეთია ბოლო და „მოკვეთილ ბოლოს“ მაგრიზათ სხვაგვა-  
 რი დაბოლოვება მიუწებებია ზედ. ამგვარათ ცნობილია ცნობი-  
 ლი ანდრონიკოვია; ერისთავი — ერისთავი... დეკანოზოვი და სხ... ბევრი ისე გაუტყავია, ამ ოპერაციას  
 და ისე შეუკეთებია თავისი გვარი, რომ ვერც მიხვდებით  
 თუ რა ტომის ხალხს ეკუთვნიან ეს ოპერატორები. აბა ვინ  
 მიხვდებოდა, რომ არაქვეა — არაყიშვილია ყოფილა! უშველა  
 ღმერთმა ისევე არაყიშვილს, რომ თათარ მან გვამცნო მისი  
 ქართველობა „ივერიის“ საშვალეებით. ცვამცნო, რომ მე  
 არაქვეი — არაყიშვილი ვარო და სხვა რედაქციებსაც თათავა:  
 გააგებანეთ ეს თქვენი გაზეთის საშვალეებო თქვენს მკითხვე-  
 ლებსაცო. ეხ, ბ-ნო არაყიშვილო!.. რატომ მასხეთ წიხლფ-  
 ბი საწყალ „შვილს“ და წის მაგრიზათ რათ მაწებეთ გვარ-  
 სა თქვენსა „ქიევი“!.. „არაყიევი“ რომ დაგეოქეთ, კიდევ  
 ჰოო... მიხვდებოდით. ნუ თუ დაგვიდათ ვინმე არაყიშვი-  
 ლისათვის, ნუ თუ ვინმე ამ გვარის მიხვებთ არაყს მოყვა-  
 რურობას დაგწამებდათ!.. თავის გვარსათვის, რომ ეს ოპე-  
 რაცია არ მოგვხდინათ, მაშინ ხომ არ დაგჭარდებოდათ, რომ  
 წერილის ქვეშ ჯერ „არაქვეი“ მოკვეწიათ და მერე ეს  
 „არაყიევი“ ფრხვალეებში არაყიშვილათ გაგეპარათ!..

დახეთ ჩვენი ქვეყანა  
 რა რაგათ გამოცვლიდა,  
 ჩვენი არაყიშვილი  
 არაქვეათ შეცვლიდა!  
 კიდევ კარგი, რამ იგი  
 „უფაღვით“ არ იწოდა  
 თარე მთლათ „ივერია“  
 სარტყვილით დაწოდა!..

ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება უწინარეს ყოველისაო — ამ-  
 ბობდა ფილოსოფოსი... პროტოკოლი, პროტოკოლი უწინარეს  
 ყოველისაო, უფილოსოფოსებია ერთს ქუთაისელ ბოლიციელს.  
 როგორც „ცნობის ფურცლის“ ქუთაისელი მონაშე გადმოკ-  
 ვცემს, ერთა ხარახის ბაქი მონარკია მექეაქეს ბაქი და მკ-  
 ცელში სახარახო დანა ჩაუყრავს. საწყალა, წიგლებ-გამოყრი-  
 ლი ბეჭი, რომლისათვის ექიმის ჩქარი მიშველეა იყუ საჭი-  
 რო, ბოლიციელს საფათყოფოში კი არა, ბოლიციაში წაფ-  
 ყვანა — პროტოკოლს შესაყენებლათ, პროტოკოლი ადამია-  
 ნის სიცოცხლეს უშვირფასესი ყოფილა... დიახ, პროტოკო-  
 ლი, პროტოკოლი უწინარეს ყოველისა!..

და რაც შეიძლება უფრო მეტა და მეტა შრომა მოსამ-  
 სახურეებსა — უჯლოსაუფოსებია, ბათუმის საავტოტოო უბან  
 გესაც და ეს დადებული ფილოსოფია მსწრეკუ განუარ-  
 ცილებია. როგორც გაზეთ «ბაქსა» კორესპონდენტა გად-  
 მოკვეცემს, ბათუმის საავტოტოო უბანში მონაშხაურებს ზედი-  
 ზედ 30 საათს ამუშავებენ, თურე. დიახ, 30 საათს... \*)  
 დილის 6 საათიდან მეორე დღის 12 საათიდან... და იმას  
 აკანონებს თავის ინსტრუქციაში ექიმი, რომელსაც ისე ვერ  
 ღვაამკირებთ, რომ არ დაგწამოთ ცოდნა იმისი, თუ რა-  
 ნაირათ მოქმედობს ადამიანზე 30 საათის ზედი-ზედი მუშაობა.

ბაქსს „აქებხანცაში“  
 ცეცხლ-ნავთი ამოსულა,  
 მის „სტანოკების“ ცოდვით

\*) ეს 30 საათი კორექტურული შეცდომა არ გვეგონათ მკითხვე-  
 ლო... „ნაპერწკალს“ ორიგინალში სწორედ 30 საათი უწერია.

გადაწყვიტე დადგე!  
 სიმატლე და კანონი,  
 მის ექიმთა გონებას  
 საკითხს წაშა დაშინებას  
 აღმართულა მონება!

ნაპერწკალი.

# ი მ ნ ი რ.

(მოთხ. ჩეხოვისა)

გუბერნიის ქალაქ ც—ში დროებით მოსული სტუმრები ხშირათ უჩიოდენ ხოლმე მოწყენილობასა და ერთგვროვან ცხოვრებას. იქაური მკვიდრი მცხოვრებნი თავს მართლულობდენ და გაიძახოდენ, რომ, პირ-იქით ქალაქ ს...ში ადამიანს როგორ მოეწყინებაო, რადგანაც აქ ბიბლიოთეკაც არის, თეატრიც, კლუბიც, და საღამოებიც ხშირათ იმართება ხოლმეო. ამასთანავე რიგიანი ოჯახებიც ბევრი არაა, სადაც ადამიანს შეუძლია დრო მხიარულათ გაატაროსო. ამისთანა ოჯახათ ხშირათ ტურკინის ოჯახს ასახელებდენ ხოლმე.

ივან პეტროვიჩი ტურკინი პირველი ქუჩაზე ცხოვრობდა. იქვე გუბერნატორის ახლად საკუთარი სახლები ქონდა. ივან პეტროვიჩი შავგრემანი, ჩასუქებული და კარგი შესაზედავი კაცი იყო. ხშირათ მარაგავდა ხოლმე საქველ-მოქმედო წარმოღვევებს, თათან მახუკებულ გენერლებს როგორც თამაშობდა და თამაშობას დროს ძლიერ სასაცილოთ ახველებდა ხოლმე. ტურკინმა უჩივებო შარადები, ანეკდოტები და ანდაზები იცოდა; მუჟამ ხუმრობდა და ობუნჯობდა. ობუნჯობის დროს იმართ სახას გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე, რომ ვერც კი შეატყობდი მართალს გეუბნებოდა თუ გიხუმრობოდა.

ტურკინის ცოლი, ვერა იოსაჟოვნა, რამელიც მუდამ pince-nez ით დადიოდა, ხელი, მაგრამ მიმზიდველი ქალი კი იყო. სწერდა რომანებს, პატარ-პატარა მოთხრობებს და სტუმრებს დიდას საამოვნებით უკითხავდა ხოლმე. მათი ქალი—ეკატერინა ივანოვნა — როგორც უკრავდა. ერთი სიტყვით, თვითეული წვერი ამ ოჯახისა რაიმე თავისებური ნიჭის პატრონი იყო. ტურკინის ოჯახობა მხიარული გულით ღებულობდენ სტუმრებს და იშვიათის სიტხვით უმასპინძლდებოდენ მათ. იმათი ქვითკობის სახლი დიდი და ზაფხულობით გრილიც იყო. ზოგიერთი ფანჯრები დაბურულ ბაღისკენ იქარებოდენ, საიდანაც ვახაფხულზე ბუღბუღის სტვენა მოისმოდა.

ექიმი დიმიტრი იონიჩ სტარცევი უნავერსტიტეტას თავების შემდეგ სოფლად მკურნალათ დანიშნეს. ის იქვე სოფელ დილიეში დასახლდა, რომელიც ქალაქს—დან ცხრა ვერსის მანძილზე იყო მოშორებული. ხშირათ ურჩევდენ ხოლმე, რომ ის, როგორც განათლებული კაცი, გაცნობოდა ტურკინის ოჯახობას.

ერთ ზამთარს, ქალაქში ყოველის დროს, გაცნეს იგი ივანე პეტროვიჩს; გამოელაპარაკენ ერთმანეთს ამინდზე, თეატრზე, ხოლერაზე. შემდეგ ამისა სახლშიაც მიიპატიჟა ივან პეტროვიჩმა სტარცევი. ერთხელ საამაღლებოთ, როდესაც ავადმყოფების მიღება გაათავა, სტარცევი, რომ ცოტა გული გადაეყოლებია ქალაქს—შიგაემგზავრა, თან ცოტა საყიდლებიცა ქონდა. ის ნელ-ნელა ქვეითათ მიდიოდა ქალაქისაკენ, რადგანაც ჯერ საკუთარი ცხენება და ეტლი არ მოეპოვებოდა. გზაში წყნარათ მიმდებოდა:

Когда еще я не пилъ Слезъ изъ чаши бытія...

ქალაქში სტარცევმა ისაღილა, და შემდეგ ბაღში გაისიერნა. ამ დროს თავის-თავათ მოაგონდა ივან პეტროვიჩის

დაპატიება და გადასწყვიტა იმისას მისვლა, — ერთი გავიწონო რა ხალხიაო.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — მხიარულათ მიმავალ ივან პეტროვიჩმა და გამოეგება კიბეზე მიმავალ სტუმარს, — ლიან მოხარული ვარ, რომ თქვენისთანა სასიამოვნო სტუმარს ვხვდავ ჩემ სახლში. წამობრძანდით გავაცნობთ ჩემ კეთილ-მორწმუნეს და, როცა წარუდგინა ცოლს, წაიოხუნჯა.

— ვეროჩკა! მე ამათ ვეუბნები, რომ არა აქვთ არავითარი „სრული უფლება“ სულ ერთავათ საავადმყოფოში იჯდეს. ასე როგორ შეიძლება! თავისუფალი დრო საზოგადოებას უნდა შესწიროს ხოლმე. ასე არაა, ჩემო სულიკო? დაეკითხა ცოლს.

— დაბრძანდით, — მიიპატიჟა ვერა იოსიფოვნამ და სკამი სტუმარს თავის ახლო დაუდგა. — შეგიძლიათ ცოტა წამიარშიყოთ, — ხუჩა ვერა იოსიფოვნამ: — თუცა ჩემი ქმარი იქვიანია, ნამდვილი ოტელია, მაგრამ არა უშავს რა, ჩვენ ისე მოვახერხოთ, რომ მაგან ვერა გაიგოს რა.

— აი, შე ცელქო, შენა, — ტკბილათ ჩაილაპარაკა ივან პეტროვიჩმა და ცოლს შუბლზე აკოცა. — სწორეთ კარგ დროს გვეწვიეთ — უთხრა სტარცევს ტურკინმა: — ჩემმა კეთილ-მორწმუნემ ერთი უშველებელი რომანი დაწერა და დღეს აპირებს მის ხმა მალდა წაკითხვას.

— ჟანჩიკ! — უთხრა ვერა იოსიფოვნამ ქმარს ფრანგულათ: dites gue l'on nous donne du the.

მალე სტარცევმა ივან პეტროვიჩის ქალი გაიცნო. ეკატერინა ივანოვნა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის თუ იქნებოდა და დედას ძლიერ წააგავდა: ისეთივე ტან-ხმელი და მიმზიდველი იყო. სახის გამომეტყველება ბავშვივით უცოდველი ქონდა. გაცნობის შემდეგ ჩაის სმადიწყეს. ჩაიზე მურობა, თფლი, ქაღები და ათასნაირი ტკბილეულობა მოიტანეს. რაც დრო გადიოდა, სტუმრები თანდათან ემატებოდა. ჩაის შემდეგ სასტუმრო ოთახში გადავიდენ. ყველას სერიოზული გამომეტყველება ქონდა: ვერა იოსიფოვნა თავის რომანს კითხულობდა.

რომანი ამნაირათ იწყებოდა: „ყინვა თანდათან უმატებდა“... ფანჯრები ღია იყო. სამხარეულოდან დანების ჩხარუნი მოისმოდა, ეზოში მოხრაკული ხახვის სუნის იდგა... ბაღიდან ნიავს ვარდების სუნის უხვათ შემოქონდა, ქუჩიდან მიმავალი ხალხის მხიარული სიცილ-კასკასი ისმოდა. ვერა იოსიფოვნა თავის რომანში იმას კითხულობდა, თუ ერთი გრაფის ახალგაზდა და ღამაზი ცოლი თავის სოფელში როგორ არსებდა სკოლებს, საავადმყოფოებს, მერე როგორ შეუყვარდა ახალგაზდა მხატვარი. მართალია, რომანში ბევრი იმისთანა რაწევები იყო, რაც ცხოვრებაში არც მამხთარა და არც მოხდება, მაგრამ მსმენელები მაინც სიამოვნებით უგდებდენ ყურს, ყველა მათგანს ეზარებოდა ზეზე ადგომა და თავში ათასნაირი ღამაზ-ღამაზი და სასიამოვნო აზრები უტრიალებდენ.

— არა უშავს რა! — წყნარათ წაილაპარაკა ივან პეტროვიჩმა. ერთმა მსმენელთაგანმა, რომელიც, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ამ ჟამათ, ძლივს გასაგონათ წამოილაპარაკა:


— დიახ... მართლაც და...

ერთმა-ორმა საათმა კიდევ გაიარა. ქალაქის ბაღში ორკესტრი უკრავდა და იქვე მახლობლათ მოსიმიდებოდა გუნდი მღეროდა. როცა ვერა იოსიფოვნამ დაბურა თავისი რვეული, ყველა იქ მჯდომნი, სმენათ გადაქეულები, ყურს უგდებდენ ტკბილ სიმღერას. ამ სიმღერაში გამოიხატებოდა ის, რას ნიშან-წყალიც არ მოიძებნებოდა ვერა იოსიფოვნას რომანში, მაგრამ რაც უხვათ იყო ცხოვრებაში.

— ჟურნალ-გაზეთებში ხომ არ ბეჭდავთ ხოლმე თქვენ თხზულებებს? — დაეკითხა ვერა იოსიფოვნას სტარცევი.

— არა უპასუხა ვერამ.— შე არასოდეს არ ვაბეჭდვი-  
 ეფ ჩემ ნაწერებს. დავწერ და მაქვს ჩემთვის შენახული, აბა  
 რისთვის უნდა დაბეჭდო? — აუხსნა ვერა იოსიფოვნამ: — ჩვენ


რაც ძალი და ღონე ქონდა, კლავიტებს ცემა დაუწყო. იმ-  
 დენი ურტყა ხელები ერთსა და იმავე ალაგას, რომ თითქმის  
 კლავიშები მთლათ ამოანგრია როიალიდან სანკუმ-



ზოლას პრეტესი პარიზის უმაღლეს სსსამართლოში.

ხომ ფული არ გვეჭირვება და!..  
 ამის გაგონებაზე სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.  
 — კოტიკ! აბა, ერთი დაუკარი რამე როიალზე. — უთხ-  
 რა ივან პეტროვიჩმა თავის ქალს.  
 ახადეს როიალს თავი, ნოტებიც გადაშალეს. ეკატერინა  
 ივანოვნა ჩაუჯდა როიალს და ორთავე ხელებით მძღავრათ,

რო ოთახში როიალის ხმებს გრიალ-გრიალი გაქონდა. ყველა-  
 ფერი ინძრეოდა: ქერი, იატაკი და ავეჯოულობა... ეკატერი-  
 ნა ივანოვნა გრძელსა და ძნელ რომანს უკრავდა. სტარცევი  
 უგდებდა ყურს და უფრო კი ეკატერინა ივანოვნას მისჩერე-  
 რებოდა, რომელიც მოძრაობისგან მთლათ ვარდის ფერათ  
 გადაქცეულიყო და რომელსაც თმები ღამაზათ შუბლზე



გადმეფენოდა. ეტყობოდა სტარცევს ძლიერ მოსწონდა ეკატერინა ივანოვნა. მიეღო ზამთრის შემდეგ, რომელიც მან დილაღეში ავითმოფებთან გაატარა, რასაკვირველია სსსიამოვნო იყო ეკატერინა ივანოვნას ახალგაზრდა სახის ცქერა.

— დღეს, კოტიკ, ის კარგათ უკრავ, როგორც არასოდეს არ დაგიკრავსო, უთხრა სიხარულისაგან თვალმუცრემლ-მორეულმა ივან პეტროვიჩმა, როცა მისმა ქალმა რომაელს თავი დაანება.

სტუმრები ერთხმად უმტკიცებდნენ ეკატერინა ივანოვნას, რომ დიდი ხანია ასეთი მშვენიერი მუსიკის ხმა არ გვსმენიაო. ისიც წყნარად იფერებდა ამ ქებას და ნიშნათ სიამოვნებისა აღნაგ ილიმებოდა. მის სახეზე ბედნიერება და სიამაყე იხატებოდა.

— მშვენიერებაა, საუცხოვოა! —

— მშვენიერებაა! — წამოიძახა სტარცევმაც, — სად გისწავლიათ მუსიკა? კონსერვატორიაში?

— არა, მაგრამ ვფიქრობ კი რომ წავიდე მოსკოვის კონსერვატორიაში.

— თქვენ გიმნაზიაში შეასრულეთ კურსი?

— არა! — დასწრო პასუხი ეკატერინა ივანოვნას დედამ, — ჩვენ სახლში გვყავდა სავანგებო მასწავლებელი კოტიკისთვის. აბა დამეთანხმებით თქვენც, რომ გიმნაზიასა და ინსტიტუტს ცუდი გავლენა აქვს ახალგაზრდა ქალზე. ქალიშვილი, სანამ იზრდება, მხოლოდ დედის გავლენის ქვეშ უნდა იყოს.

— მაგრამ კონსერვატორიაში კი მაინც უნდა წავიდე, — სთქვა ეკატერინა ივანოვნამ.

— არა, კოტიკს უყვარს თავისი დედა. კოტიკი არ აწყენებს თავის მშობლებს.

— არა, წავალ! კონსერვატორიაში უთუოთ წავალ! ხუმრობით თქვა. ეკატერინა ივანოვნამ და ფეხები ჰირვეული ბავშვივით გაასავსავა. ვახშამზე კი ივან პეტროვიჩმა გამოიჩინა თავისი ნიჭიერება: ბევრი იოხუნჯა, ბევრი ანექლოტები და გამოცანები თქვა, ვახშამის შემდეგ ყველა სტუმრები კმაყოფილი გამოცთხოვენ მხიარულ მასპინძლებს და თავიანთ ბინაზე წავიდ-წამოვიდნენ. სტარცევი, სანამ შინ წავიდოდა, ჯერ სასტუმროში შევიდა, ღუდის დასადგევთ შემდეგ ფეხით გაერგზავრა სოფ. დილაღეში. გზაში მიდიოდა და თან მიიმღეროდა:

Твой голосъ для меня и ласковый и томный...

სახლში მივიდა თუ არა მაშინვე ჩაწვა ლოგინში. თუმცა ცხრა ვერსი ფეხით გაიარა, მაგრამ დაღალულობას მაინც სრულებით არ გრძობდა. პირ-იქით იმას ეგონა, რომ კიდევ ოც ვერს გზას დიდის სიამოვნებით გაივლიდა. ლოგინში მოაგონდა ივან პეტროვიჩის ოხუნჯობა და გაიღიმა.

II

